4. მხარეები ითანამშრომლებენ, რათა მიიღონ ეროვნული კანონებით მოთხოვნილი ნებართვები და ლიცენზიები, რომლებიც საჭიროა ან სასურველია პროექტის მიზნების მისაღწევად. მხარეები ასევე ითანამშრომლებენ ნებისმიერი ანგარიშების, განცხადებების ან შეტყობინებების გამზადებასთან მიმართებაში, რომლებიც მოთხოვნილია სახელმწიფო კანონებით.
5. "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის" უფლებამოსილია გამოიყენოს გაეროს ან გაეროს ქალთა ორგანიზაციის სახელი და ემზადება მხოლოდ პირდაპირ ამ პროექტთან დაკავშირებით და მხოლოდ გაეროს ქალთა ორგანიზაციის წინასწარი წერილობითი თანხმობით.
6. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საქმიანობას მხარს უჭერს მთავრობა და "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი" უფლებამოსილია მიმართოს მთავრობას, თუ ეს საჭირო იქნება ხელშეკრულების შესასრულებლად. პროექტის დირექტორი აგებს პასუხს ყოველდღიური კონტაქტის დამყარებაზე შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან და გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან პროექტის განხორციელების პროცესში წამოჭრილი საოპერაციო საკითხების მოგვარების მიზნით. გაეროს ქალთა რეგიონალური პროგრამის დირექტორი იმოქმედებს, როგორც ძირითადი საკონტაქტო პირი მთავრობასთან ურთიერთობებში პროექტის თანამშრომლობის ხელშეკრულების თანახმად საქმიანობის კოორდინირების მიზნით, თუ ეს არ იქნება სხვაგვარად შეთანხმებული მხარეებსა და მთავრობას შორის.
7. გაეროს ქალთა ორგანიზაცია უზრუნველყოფს ინფორმაციას, საკონსულტაციო მომსახურებას, ტექნიკურ და პროფესიულ მხარდაჭერას, რომელიც ხელმისაწვდომია გაეროს ქალთა ორგანიზაციისათვის და დაეხმარება "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს" კონსულტაციები გაიაროს გაეროს ორგანიზაციებთან, თუ ეს საჭირო იქნება.
8. მხარეები ითანამშრომლებენ ნებისმიერ საზოგადოებასთან ურთიერთობებში ან საჯარო ღონისძიებებში, თუ გაეროს ქალთა ორგანიზაცია ჩათვლის, რომ ეს საჭიროა ან სასარგებლოა.

მუხლი V. პერსონალის მიმართ არსებული მოთხოვნები

1. "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი" სრულ პასუხისმგებლობას აგებს მისი პერსონალის, აგენტების, თანამშრომლების ან კონტრაქტორების მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე (შემდგომში მოხსენიებულია, როგორც პერსონალი).
2. "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი" პერსონალი არ მიიმჩნევა, როგორც გაეროს ქალთა ორგანიზაციის თანამშრომელი ან აგენტი. "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი" უზრუნველყოფს ყველა სათანადო შრომის კანონის დაცვას.
3. გაეროს ქალთა ორგანიზაცია არ აგებს პასუხს პრეტენზიებზე, რომლებიც წარმოიშვა წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად განხორციელებული საქმიანობიდან ან ნებისმიერ პრეტენზიებზე, რომლებიც დაკავშირებულია "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის" თანამშრომლის გარდაცვალების, სხულის ტრავმის, ქვედუუნარობის, საქონლის დაზიანების ან ნებისმიერი სხვა ზიანის შედეგად, რომელიც შეიძლება მიეყენოს "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის" პერსონალს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს განხორციელების პროცესში. "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი" ვალდებულია უზრუნველყოს პერსონალის სათანადო სამედიცინო და სიცოცხლის დაზღვევა და ასევე სამსახურში მიღებული ტრამვების, ზიანის, ქვედუუნარობის ან გარდაცვალების შემთხვევების დაზღვევა.
4. "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი" იძლევა გარანტიას, რომ მისი პერსონალის მიერ შესრულებული იქნება კვალიფიკაციისა და ტექნიკური და პროფესიული კომპეტენციის უმაღლესი სტანდარტები, რომლებიც საჭიროა პროექტის მიზნების მისაღწევად და რომ პროექტთან დაკავშირით მიღებული გადაწყვეტილებები თავისუფალი იქნება ყოველგვარი პირდაპირი და არაპირდაპირი რასის, ეთნიკური, რელიგიური ან სარწმუნოების კუთვნილობის, ეროვნების ან პოლიტიკური მოსაზრებების, სქესის, ინვალიდობის ან ნებისმიერი სხვა გარემოებების მიხედვით დისკრიმინაციისაგან. "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი" იძლევა გარანტიას, რომ პერსონალს არ აქვს რაიმე სახის კონფლიქტთა ინტერესი საპროექტო საქმიანობასთან დაკავშირებით.

მუხლი VI. პერსონალის პირობები და ვალდებულებები

"ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი" იღებს ვალდებულებას შეასრულოს ქვემოთ ჩამოთვლილი პირობები და ვალდებულებები და შესაბამისად უზრუნველყოფს, რომ პერსონალი, რომელიც ასრულებს აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებულ საქმიანობას, ასრულებს მის ვალდებულებებს, რომლებიც განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებაში:

(ა) პერსონალი არის "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის" უშუალო დაქვემდებარებაში, რომელიც მოქმედებს გაეროს ქალთა ორგანიზაციის და მთავრობის ძირითადი სახელმძღვანელოს თანახმად.

(ბ) ზემოხსენებული ქვეპუნქტში (ა) ჩამოთვლილის გარდა, პერსონალი არ მიიღებს ინსტრუქციებს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საქმიანობასთან დაკავშირებით რომელიმე სხვა მთავრობისგან, საქართველოს მთავრობის ან სხვა ორგანოსგან, რომელიც არ არის გაეროს ქალთა ორგანიზაციის დაწესებულება.

(გ) პერსონალი არ განახორციელებს ქმედებებს, რომლებიც შეიძლება მოახდინონ უარყოფითი გავლენა გაეროზე და არ მიიღებს მონაწილეობას საქმიანობაში, რომელიც შეუთავსებელია გაეროს მიზნებთან და მისწრაფებებსსთან ან გაეროს ქალთა ორგანიზაციის მანდატთან.

(დ) „გაეროს ქალთა ორგანიზაციის საჯარო ინფორმაციის გამჟღავნების“ დოკუმენტში განსაზღვრული მოთხოვნების თანახმად, ინფორმაცია, რომელიც განიხილება, როგორც კონფიდენციალური, არ შეიძლება იყოს გამოყენებული გაეროს ქალთა ორგანიზაციის უფლებამოსილების გარეშე. ნებისმიერ შემთხვევაში, ასეთი ინფორმაცია არ უნდა იყოს გამოყენებული პირადი სარგებლობისთვის. პროექტის მენეჯერი უფლებამოსილია დაუკავშირდეს მასმედიას "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის" მიერ გამოყენებულ მეთოდებთან და სამეცნიერო პროცედურებთან დაკავშირებით; გაეროს ქალთა ორგანიზაციის ნებართვა საჭიროა გაეროს ქალთა ორგანიზაციის სახელის გამოყენებისთვის საპროექტო საქმიანობასთან დაკავშირებით, როგორც აღწერილია ამ ხელშეკრულების მუხლში IV, პუნქტში 5. ეს ვალდებულება არ წყდება წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, თუ რაიმე სხვა არ იქნება შეთანხმებული მხარეებს შორის.

მუხლი VII. მიწოდებები, მანქანები და შესყიდვები

1. გაეროს ქალთა ორგანიზაცია ჩადებს პროექტში რესურსებს, რომლებიც მითითებულია საპროექტო დოკუმენტაციის ბიუჯეტის ნაწილში.

2. აღჭურვილობა, დაუხარჯავი მასალები ან სხვა ქონება, რომელიც მიწოდებულია ან დაფინანსებულია გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ დარჩება გაეროს ქალთა ორგანიზაციის საკუთრებად და პროექტის დასრულების ან წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ ექვემდებარება დაბრუნებას გაეროს ქალთა ორგანიზაციისათვის, თუ ეს არ იქნება სხვაგვარად შეთანხმებული მხარეებს შორის და მთავრობის მაკორდინირებელ ორგანოსთან შეთანხმებით. პროექტის განხორციელების განმავლობაში და აღჭურვილობის უკან დაბრუნებამდე, როგორც აღწერილია ზემოთ, "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი" პასუხისმგებელი იქნება აღჭურვილობის სათანადო მოვლაზე, მომსახურებაზე და შენახვაზე. პროექტის განხორციელების პროცესში ასეთი აღჭურვილობის და მასალების დაცვისთვის, "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი" მიიღებს შესაბამის დაზღვევას თანხაზე, რომელიც შეიძლება იყოს შეთანხმებული მხარეებს შორის და შეტანილი საპროექტო ბიუჯეტში.
3. "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი" უზრუნველყოფს მის მიერ მიწოდებული ან დაფინანსებული მიწოდების, აღჭურვილობის და სხვა მასალების მარკირებას, რომელიც საჭიროა მითითებისთვის, რომ ის მიწოდებულია გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ.
4. "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდისთვის" გადაცემული ავტომატქანების ან სხვა ქონების დაზიანების, მოპარვის ან სხვაგვარი ზარალის მიყენების შემთხვევაში, "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი" წარუდგენს გაეროს ქალთა ორგანიზაციას დეტალურ ანგარიშს, მათ შორის პოლიციის ანგარიშს იმ მოვლენების და გარემოებების დეტალური აღწერით, რომლითაც გამოწვეულ იქნა ქონების დაზიანება.
5. საქონლის, მომსახურების ან სხვა მოთხოვნების პროცედურების განხორციელებისას, თანხები გამოყოფილი იქნება გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ პროექტის ბიუჯეტის მოხედვით, ხოლო "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი" უზრუნველყოფს, რომ შეკვეთის განთავსებისას ან პროექტის მინიჭებისას, ის უზრუნველყოფს უმაღლესი ხარისხის, ეკონომიურობის და ეფექტურობის პრინციპების დაცვას და რომ ამგვარი შეკვეთების განთავსება დაფუძნებული იქნება კონკურენტულ კოტირებებზე, ტენდერებზე ან შემოთავაზებებზე, თუ რაიმე სხვა არ იქნება შეთანხმებული გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან.
6. გაეროს ქალთა ორგანიზაცია ყველა ღონეს მიმართავს, რათა დახმარება გაუწიოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და

დახმარების სახელმწიფო ფონდს“ აღჭურვილობის და მიწოდებული მასალების საბაჟოზე განბაჟებისთვის და ქვეყანაში იმ პუნქტებში მიწოდებისთვის, სადაც უნდა განხორციელდეს საპროექტო საქმიანობა.

7. "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი" აწარმოებს აღჭურვილობის, მიწოდებების და გაეროს ქალთა ორგანიზაციის თანხებით შეძენილი სხვა ქონების სრულყოფილ და ზუსტ ჩაწერას და პერიოდულად განახორციელებს ფიზიკურ ინვენტარიზაციას. "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი" ყოველწლიურად, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ მოთხოვნილ დროს და ფორმით, წარუდგენს გაეროს ქალთა ორგანიზაციას ინფორმაციას ასეთი აღჭურვილობის, ქონების და დაუხარჯავი მასალების და მიწოდებების მარაგის შესახებ.

მუხლი VIII. ფინანსური და საოპერაციო საკითხები

პროგრამის ბიუჯეტის თანახმად, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ გამოყოფილია "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდისთვის თანხა მაქსიმუმ **286,000.00 (ორასოთხმოცდაექვსი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით**. პირველი ნაწილი **130,230.00 (ასოცდაათი ათასი ორასოცდაათი) აშშ დოლარის ოდენობით** გადაეცემა "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ. ყველა შემდგომი გადახდა გახორციელდება 80% მიწოდების განხორციელებისთანავე, როგორც განსაზღვრულია შესრულების გეგმაში. მეორე ნაწილი **102,870.00 (ასორი ათასი რვაასამოცდაათი) აშშ დოლარის ოდენობით** გადახდილი იქნება "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდისთვის" გაეროს ქალთა ორგანიზაციისათვის 2012 წლის წლიური ფინანსური და აღწერილობითი ანგარიშების 2013 წლის თებერვალში წარდგენისთანავე. მესამე ნაწილი **24,300.00 (იცდაოთხი ათას სამასი) დოლარის ოდენობით** გადახდილი იქნება "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდისთვის" გაეროს ქალთა ორგანიზაციისათვის 2013 წლის წლიური ფინანსური და აღწერილობითი ანგარიშების 2014 წლის თებერვალში წარდგენისთანავე. მეოთხე- საბოლოო ნაწილის გადახდა **28,600.00 (ოცდარვა ათას ექვსასი) აშშ დოლარის ოდენობით** გადახდილი იქნება "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდისთვის" საბოლოო ფინანსური ანგარიშის და სხვა შეთანხმებული დოკუმენტაცია შესრულებული ქვემოთ აღწერილი მუხლში X აღწერილი საქმიანობის შესახებ იქნება შედგენილი, წარდგენილი და მიღებული გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ როგორც გაეროს ქალთა ორგანიზაციის რესურსების დამაკმაყოფილებელი მართვა და გამოყენება 2015 წლის აპრილის-მაისის თვეებში.

ყველა გადახდა გადარიცხული იქნება გრანტის მიმღების საბანკო ანგარიშზე, რომლის დეტალები მითითებულია ქვემოთ:

გრანტის მიმღები:	"ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი საიდენტიფიკაციო კოდი: 205169592
საბანკო ანგარიში:	200122900
ბანკის BIK:	TRESGE22
ბანკის დასახელება:	საქართველოს სახელმწიფო ხაზინა

გადახდა განხორციელდება საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის მიერ გაეროს ქალთა ორგანიზაციის სახელით.

2. "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი" თანხმობას აცხადებს განახორციელოს გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ მიწოდებული თანხების, მიწოდებების და ნებისმიერი აღჭურვილობის გამოყენება საპროექტო დოკუმენტაციის მკაცრი დაცვით. "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი" უფლებამოსილია შეიტანოს ცვლილებები, რომლებიც არ უნდა აღემატებოდეს საპროექტო ბიუჯეტის 20 პროცენტს პროექტის ბიუჯეტის ნებისმიერ პუნქტზე მაგრამ იმ პირობით, რომ გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ გამოყოფილი საერთო ბიუჯეტის თანხა არ იქნება გადაჭარბებული. "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი" ვალდებულია აცნობოს გაეროს ქალთა ორგანიზაციას ნებისმიერი მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ მუხლში IV, პუნქტში 3 დადგენილი ყოველკვარტალური კონსულტაციების ჩატარებისას. ნებისმიერი ცვლილება, რომელიც აღემატება ნებისმიერი პუნქტის 20%-ს და საჭიროა პროექტის სათანადო და წარმატებული განხორციელებისთვის, უნდა იყოს წინასწარ შეთანხმებული და დამტკიცებული გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ.
3. "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი" თანხმობას აცხადებს, ორი კვირის განმავლობაში დაუბრუნოს გაეროს ქალთა ორგანიზაციას მის მიერ მიწოდებული გამოუყენებელი მარაგები წინამდებარე ხელშეკრულების დამთავრების ან პროექტის დამთავრების შემდეგ. ნებისმიერი გამოუყენებელი თანხა ექვემდებარება უკან დაბრუნებას წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტიდან ან პროექტის დასრულებიდან ორი თვის განმავლობაში.

4. გაეროს ქალთა ორგანიზაცია არ აგებს პასუხს ხარჯებზე, გადასახადებზე, გადახდებზე ან სხვა ფინანსურ ხარჯებზე, რომლებიც არ არის განსაზღვრული პროექტის სამუშაო გეგმაში ან პროექტის ბიუჯეტში, თუ გაეროს ქალთა ორგანიზაცია წერილობით არ განსაზღვრავს "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის" მიერ თანხების გამოყენების სხვა წესებს.
5. კონტრაქტორი თანახმაა ყველა ღონეს მიმართოს, რათა უზრუნველყოს, რომ წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად მიღებული არც ერთი თანხა არ იქნება გამოყენებული ტერორისტულ საქმიანობასთან დაკავშირებული პირების და ორგანიზაციების მხარდაჭერის მიზნით და გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ მიწოდებული თანხების მიმღები არ არის მითითებული უსაფრთხოების საბჭოს კომიტეტის მიერ შედგენილ სიაში, რომელიც დაფუძნდა 1267 რეზოლუციის (1999) თანახმად. სია შეიძლება იყოს შეფასებული <http://www.un.org/Docs/sc/committees/1267/1267ListEng.htm> მიხედვით. ეს დებულება უნდა იყოს შეტანილი ყველა ქვეხელშეკრულებაში ან ქვეკონტრაქტში, რომელიც დადებული იქნება წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად.

მუხლი IX. ჩანაწერების წარმოება

1. "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი" უზრუნველყოფს ზუსტი და თანამედროვე მითხვენებს შესაბამისი ჩანაწერების და დოკუმენტების წარმოებას გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ გამოყოფილი ყველა თანხის გამოყენებასთან დაკავშირებით, რათა უზრუნველყოს, რომ ყველა ხარჯი გაღებულია პროექტის სამუშაო გეგმისა და პროექტის ბიუჯეტების დებულებების შესაბამისად. ყოველი გადახდა, სათანადო თანხები დოკუმენტაცია უნდა იყოს წარმოებული ორიგინალურ ანგარიშ-ფაქტურებთან, ქვითრებთან და ანგარიშებთან ერთად, რომლებიც დაკავშირებულია გარიგებასთან. შეტყობინება ნებისმიერი შემოსავლის შესახებ, რომელიც განსაზღვრულია მუხლში 1, პუნქტში 1 (კ) ზემოთ და მიღებულია წინამდებარე პროექტის მართვიდან, დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს გაეროს ქალთა ორგანიზაციას. შემოსავალი ასახული იქნება შესწორებულ საპროექტო ბიუჯეტში და სამუშაო გეგმაში და ჩაწერილი იქნება, როგორც გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ მიღებული შემოსავალი, თუ ეს არ იქნება სხვაგვარად შეთანხმებული მხარეებს შორის.
2. პროექტის დასრულების/ხელშეღწევის შემთხვევაში, "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი" ვალდებულია აწარმოოს ჩანაწერები სულ ცოტა ოთხი წლის განმავლობაში, თუ ეს არ იქნება სხვაგვარად შეთანხმებული მხარეებს შორის.

მუხლი X. ანგარიშების მიმართ არსებული მოთხოვნები

1. "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი" უზრუნველყოფს გაეროს ქალთა ორგანიზაციას და სამთავრობო კოორდინირების უწყებას პერიოდული ანგარიშებით პროექტის განხორციელების, საქმიანობის, მიღწევების და შედეგების შესახებ, როგორც შეთანხმებულია მხარეებს შორის. როგორც მინიმუმი, "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი" ვალდებულია წარაგინოს ანგარიში ნახევარი წლის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობის შესახებ.
2. ფინანსური ანგარიში FACE (Funding Authorization and Certification of Expenditures) (ფინანსირების ავტორიზაცია და ხარჯების სერთიფიცირება) ფორმით უნდა იყოს შედგენილი ყოველკვარტალურად:
 - (ა) "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი" გაამზადებს და წარუდგენს ფინანსურ ანგარიშს გაეროს ქალთა ორგანიზაციას არაუგვიანეს ყოველი კვარტლის დასრულებიდან 30 დღის განმავლობაში. ანგარიში უნდა იყოს შედგენილი ინგლისურ ენაზე.
 - (ბ) ფინანსური ანგარიშის მიზანი არის კვარტალურად გადასახდელი თანხების მოთხოვნა, ყოველკვარტალურად პროექტის ფარგლებში ბიუჯეტის კომპონენტების მიხედვით გაღებული ხარჯების გამოანგარიშება და დარჩენილი თანხების და კვარტლის განმავლობაში უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის დანაკარგების სინქრონიზაცია.
 - (გ) ფინანსური ანგარიში განკუთვნილია პროექტთან დაკავშირებული გარიგებების ფულადი თანხების სახით ასახვისთვის. ამ მიზნით, გადაუხდელი თანხები ან შეუსრულებელი მოვალეობები არ უნდა წარედგინოს გაეროს ქალთა ორგანიზაციას ანგარიშის სახით, ე.ი. ანგარიშები უნდა იყოს შედგენილი ნაღდი ფულის საფუძველზე და არა თანხების დარიცხვის მიხედვით და შესაბამისად უნდა მოიცავდეს მხოლოდ "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის" მიერ გაღებულ თანხებს და არა ვალდებულებებს. "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი" ბიუჯეტის მიზნებისთვის ანგარიშის წარდგენისას ვალდებულია მოუთითოს გადაუხდელი ვალდებულებების და მოვალეობების დონე;
 - (დ) ფინანსური ანგარიში მოიცავს ინფორმაციას, რომელიც წარმოადგენს საფუძველს პერიოდული ფინანსური შემოწმებისთვის და მისი დროული წარდგენა წარმოადგენს პროექტის უწყვეტი ფინანსირების წინაპირობას. ფინანსური ანგარიშის მიღებამდე, გაეროს ქალთა ორგანიზაციის რეგიონალური პროგრამების დირექტორი არ განახორციელებს გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ გამოყოფილი თანხებიდან ფულის გაცემას.

(ე) "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის" მიერ მიმწოდებლისგან მიღებული ნებისმიერი კომპენსაცია უნდა იყოს ასახული ფინანსურ ანგარიშში, როგორც იმ კომპონენტების ხარჯების შემცირება, რომელსაც ის მიეკუთვნება.

3. პროექტის დასრულებიდან ან წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტიდან სამი თვის განმავლობაში, "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი" ვალდებულია წარუდგინოს გაეროს ქალთა ორგანიზაციას საბოლოო ანგარიში პროექტთან დაკავშირებული საქმიანობის შესახებ და ასევე საბოლოო ფინანსური ანგარიში გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ გამოყოფილი თანხების, ინვენტარის, მარაგების და მიწიდებული მასალების გამოყენების შესახებ.

მუხლი XI. აუდიტის მიმართ არსებული მოთხოვნები

1. "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი" წარუდგენს გაეროს ქალთა ორგანიზაციას დამტკიცებულ წლიურ ფინანსურ ანგარიშს გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ გადაცემული თანხების სტატუსის შესახებ. პროექტის აუდიტი ჩატარდება ყოველწლიურად და ასახული იქნება UNDP სათაო ოფისის მიერ შედგენილ წლიური აუდიტის გეგმაში (აუდიტის და შესრულებულს გადამოწმების სამმართველო) პროექტის მხარეებთან შეთანხმებით. აუდიტი უნდა ჩატარდეს "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის" აუდიტორების ან აუდიტორული ფირმის მიერ, რომელიც აწარმოებს აუდიტის ანგარიშს და დამტკიცებს ფინანსურ ანგარიშს.
2. ზემოხსენებულის მიუხედავად, გაეროს ქალთა ორგანიზაცია უფლებამოსილია საკუთარი ხარჯით განახორციელოს პროექტთან დაკავშირებული წიგნების და ჩანაწერების აუდიტი ან გადამოწმება და საჭიროებისამებრ მოითხოვოს "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის" წიგნებთან და ჩანაწერებთან წვდომა.

მუხლი XII. პრეტენზიებზე პასუხისმგებლობა

1. "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი" დაიცავს და საკუთარი ხარჯით ყოველგვარი ზიანის და პრეტენზიისგან გაათავისუფლებს გაეროს ქალთა ორგანიზაციას, მის თანამდებობის პირებს და პირებს, რომლებიც ახორციელებენ საქმიანობას გაეროს ქალთა ორგანიზაციის სახელით, ყოველგვარი დავის, პრეტენზიის, მოთხოვნის და ნებისმიერი სახის და ტიპის მოვალეობისაგან, მათ შორის ხარჯების და გადახდებისგან, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა,

დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის“ ან მისი თანამშრომლების, ან წინამდებარე ხელშეკრულების და პროექტის მართვის მიზნით დაქირავებული პირების მიერ განხორციელებული ქმედებების და უქმედობის შედეგად.

2. "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი" აგებს პასუხს მის წინააღმდეგ პერსონალის, თანამშრომლების, აგენტების და ქვეკონტრაქტორების მიერ შეტანილი საჩივრების განხილვაზე.

მუხლი XIII. უსაფრთხოება

1. "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის", მისი პერსონალი და ქონების, ისევე როგორც "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდისთვის" გადაცემული გაეროს ქალთა ორგანიზაციის ქონების დაცვაზე და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს".

2. "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი" ვალდებულია:

(ა) სათანადოდ განათავსოს უსაფრთხოების გეგმა და შეიმუშაოს ის უსაფრთხოების სიტუაციის გათვალისწინებით ქვეყანაში, სადაც უნდა განხორციელდეს მომსახურების გაწევა.

ბ) საკუთარ თავზე აიღოს ყველა რისკი და პასუხისმგებლობა, რომელიც დაკავშირებულია "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის" უსაფრთხოებასთან და უზრუნველყოს უსაფრთხოების გეგმის შესრულება.

3. გაეროს ქალთა ორგანიზაცია იტოვებს უფლებას გადაამოწმოს აღნიშნული გეგმა ადგილზე და თუ საჭიროა შესთავაზოს გეგმაში ცვლილებების შეტანა. შესაბამისი უსაფრთხოების გეგმის წარმოების და განხორციელების შესრულებლობა განიხილება, როგორც წინამდებარე ხელშეკრულების დარღვევა. ზემოხსენებულის მიუხედავად, "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი" ერთპიროვნულად აგებს პასუხს მისი პერსონალის და გაეროს ქალთა ორგანიზაციის ქონების დაცვაზე, როგორც აღწერილია პუნქტში 1.1.

მუხლი XIV. შეჩერება და ვადამდელი შეწყვეტა

1. წინამდებარე ხელშეკრულებით მხარეები აღიარებენ, რომ ტექნიკური თანამშრომლობის საქმიანობის მიზნების წარმატებულ დასრულებას და განხორციელებას აქვს უპირატესი

მნიშვნელობა და რომ გაეროს ქალთა ორგანიზაცია საჭიროებისამებრ უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე პროექტი ან შეიტანოს ცვლილებები პროექტის მართვაში, ისეთი გარემოებების წარმოშობის შემთხვევაში, რომლებიც საფრთხის ქვეშ აყენებენ პროექტის მიზნების წარმატებულ დასრულებას ან განხორციელებას. წინამდებარე მუხლის დებულებები ძალაში ასეთი მდგომარეობის დადგომის შემთხვევაში.

2. გაეროს ქალთა ორგანიზაცია განიხილავს "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდთან" ერთად ნებისმიერ გარემოებას, რომელიც გაეროს ქალთა ორგანიზაციის თვალსაზრისით შეიძლება შეაფერხოს, ხელი შეუშალოს ან საფრთხე შეუქმნას პროექტის წარმატებულად შესრულებას ან მისი მიზნების მიღწევას. "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი" დაუყოვნებლივ აცნობებს გაეროს ქალთა ორგანიზაციას მის მიერ დაფიქსირებული ნებისმიერი ასეთი გარემოების შესახებ. მხარეები ერთობლივად განიხილავენ მსგავსი გარემოებების აღმოფხვრის ან მათი გავლენის შემცირების შესაძლებლობას და ყველა მიზანშეწონილ ღონეს მიმართავენ, რათა მოაგვარონ ეს საკითხი "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის" მიერ სასწრაფო მაკორექტურებელი ქმედებების განხორციელების ან გაკოტროლების მიზნით. მხარეები ითანამშრომლებენ ასევე პროექტის შესაძლებელი შეწყვეტილს შედეგების და პროექტის ბენეფიციარებზე აღნიშნული შეწყვეტის შედეგების შეფასებასთან მიმართებაში.
3. ზემოხსენებული გარემოებების წარმოშობის შემდეგ ნებისმიერ დროს გაეროს ქალთა ორგანიზაცია, სათანადო კონსულტაციების გავლის შემდეგ, უფლებამოსილია შეაჩეროს პროექტი "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდისთვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის პირობით, წინამდებარე ხელშეკრულებაში პუნქტში 2 განსაზღვრული ღონისძიებების დაწყებისა და გაგრძელების გარეშე. გაეროს ქალთა ორგანიზაცია უფლებამოსილია მიუთითოს "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს" პირობები, რომელთა შესრულების შემთხვევაში ის მზად არის განაახლოს პროექტის მართვის ავტორიზაცია.
4. თუ შეჩერების მიზეზი არ იქნება გამოსწორებული ან აღმოფხვრილი 14 დღის განმავლობაში გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდისთვის" შეჩერების შესახებ შეტყობინების გაგზავნის შემდეგ, გაეროს ქალთა ორგანიზაცია უფლებამოსილია, წერილობითი შეტყობინების გაგზავნის პირობით, ნებისმიერ დროს ასეთი მოზეზის ხანგრძლივობის პერიოდში: ა) შეწყვიტოს პროექტი; ბ) შეწყვიტოს "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის" მიერ პროექტის მართვა და დავალოს ის სხვა

ორგანიზაციას. წინამდებარე პუნქტის დებულებების შეწყვეტის ამოქმედების ვადა უნდა იყოს განსაზღვრული გაეროს ქალთა ორგანიზაციისაგან მიღებულ წერილობით შეტყობინებაში.

5. წინამდებარე ხელშეკრულების ზემოთ აღწერილი პუნქტი 4 ბ-ს თანახმად, "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი" უფლებამოსილია შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება იმ შემთხვევაში თუ წარმოიშვება გარემოება, რომელიც ხელს უშლის "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს" წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებაში. ასეთ შემთხვევაში ფონდი ვალდებულია გაუზიაროს გაეროს ქალთა ორგანიზაციას წერილობითი შეტყობინება წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის განზრახვის შესახებ სულ ცოტა პროექტის შეტყვეტამდე 30 დღით ადრე, თუ პროექტის ხანგრძლივობა შეადგენს ექვს თვეს და სულ ცოტა 60 დღით ადრე პროექტის ვადის ამოქმედების დღემდე, თუ პროექტის ხანგრძლივობა შეადგენს ექვს თვეს ან ექვს თვეზე მეტია.
6. "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი" უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება მხოლოდ ზემოხსენებული პუნქტი 5 დადგომისას და "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდსა" და გაეროს ქალთა ორგანიზაციას შორის სათანადო კონსულტაციების ჩატარების შემდეგ, ყველა არსებული შეფერხების აღმოფხვრის და გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაკეთებული შემოთავაზებების სათანადო წესით განხილვის შემდეგ.
7. ნებისმიერი მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად შეწყვეტის შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე, მხარეები დაუყოვნებლივ მიიღებენ ზომებს რათა შეწყვიტონ საქმიანობა წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადებში და სათანადო წესით, რათა მინიმუმამდე შეამცირონ ზარალი და შემდგომი ხარჯები. "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი" არ აიღებს შემდგომ ვალდებულებებს და 30 დღის განმავლობაში დაუბრუნებს გაეროს ქალთა ორგანიზაციას ყველა დაუხარჯავ თანხას, მიწოდებულ საქონელს და გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ მიწოდებულ სხვა ქონებას, თუ ეს არ იქნება წერილობითი ფორმით სხვაგვარად შეთანხმებული მხარეებს შორის.
8. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, გაეროს ქალთა ორგანიზაცია აუნაზღაურებს "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს" მხოლოდ პროექტის მართვისთვის გაწეულ ხარჯებს, ამ ხელშეკრულებით

განსაზღვრული პირობების თანახმად. წინამდებარე პუნქტის თანახმად, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდისთვის" პროექტთან დაკავშირებით წინასწარ გადარიცხული თანხების დამატებით გადახდილი თანხა არ უნდა აღმატებოდეს გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ პროექტისთვის გამოყოფილი თანხის ოდენობას.

9. პროექტის მართვასთან დაკავშირებით "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის,, მოვალეობების სხვა ორგანიზაციაზე გადაცემის შემთხვევაში, "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი" ითანამშრომლებს გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან და სხვა ორგანიზაციასთან ასეთი მოვალეობების სათანადო გადაცემის მიზნით.

მუხლი XV. ფორს-მაჟორი

1. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, რომლებიც განსაზღვრულია ხელშეკრულების მუხლში 1, პუნქტში 1, მხარე, რომელიც იმყოფება ფორს-მაჟორული გარემოებების მოქმედების ქვეშ, ვალდებულია შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადებში წერილობით შეატყობინოს მეორე მხარე ამის შესახებ და წარუდგინოს მას არსებული გარემოების სრული აღწერა. თუ ფორს-მაჟორის მქონე მხარეს არ შეუძლია წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად გათვალისწინებული ვალდებულებების ან მოვალეობების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულება. მხარეებმა უნდა მოილაპარაკონ შემდგომი ქმედებების შესახებ, რომლებიც შეიძლება მოიცავდეს გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეჩერებას ხელშეკრულების მუხლი XIV, პუნქტი 3-ის თანახმად ან შეწყვიტონ ხელშეკრულება მეორე მხარისთვის ასეთი შეწყვეტის შესახებ წერილობითი შეტყობინების სულ ცოტა შვიდი დღით ადრე გაგზავნით.
2. თუ წინამდებარე ხელშეკრულება შეწყდება ფორს-მაჟორული გარემოებების მოქმედების შედეგად, მუხლი XIV, პუნქტების 8 და 9 დებულებების მოქმედება ძალაში იქნება.

მუხლი XVI. არბიტრაჟი

მხარეები შეეცდებიან მეგობრულად და პირდაპირი მოლაპარაკებების მეშვეობით მოაგვარონ ყველა არსებული დავა, უთანხმოება ან პრეტენზია, რომელიც წარმოიშვა წინამდებარე ხელშეკრულებიდან ან ხელშეკრულებასთან ან მის შეწყვეტასთან დაკავშირებით. ამგვარი მოლაპარაკებების წარუმატებლად დამთავრების შემთხვევაში, საქმე უნდა იყოს განხილული საარბიტრაჟო სასამართლოში გაეროს კომისიის ან საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კანონის საარბიტრაჟო წესების თანახმად. არბიტრაჟის მიერ მიღებული

გადაწყვეტილება საბოლოო და სავალდებულო იქნება მხარეებისთვის ნებისმიერ დავასთან, უთანხმოებასთან ან პრეტენზიასთან დაკავშირებით.

მუხლი XVII. პრივილეგიები და იმუნიტეტი

წინამდებარე ხელშეკრულებასთან მიმართებაში არც ერთი პუნქტი არ განიხილება, როგორც გაეროს ან გაეროს ქალთა ორგანიზაციის პრივილეგიებზე ან იმუნიტეტებზე გამოცხადებული ან ნაგარაუდვეი უარის განცხადება.

მუხლი XVIII. ცვლილებები

წინამდებარე ხელშეკრულებაში ან მის დანართებში ცვლილებების ან დამატებების შეტანა დაშვებულია მხოლოდ მხარეების წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

ზემოაღნიშნულის დასტურად, წინამდებარე ხელშეკრულება ქვემოთ მითითებულ დღეს და ადგილას ხელმოწერილია მათი სათანადო წესით უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ.

სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი“

ხელმოწერა: _____

სახელი და გვარი: _____

თანამდებობა: _____

ადგილი: _____

თარიღი: _____

გაეროს ქალთა ორგანიზაცია

ხელმოწერა: _____

სახელი და გვარი: _____

თანამდებობა: _____

ადგილი: _____

თარიღი: _____

მოსალოდნელი შედეგი	DRF/MRF	განმახორციელებელი პარტნიორი	დაგეგმილი საქმიანობები	ანგარიშის კოდები	წელი 1 შესწორებული	წელი 2 შესწორებული	წელი 3 შესწორებული	ჯამი შესწორებული
ძირითადი პოლიტიკისა და მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებების შესაძლებლობის გაძლიერება, რათა უზრუნველყოფილი იყოს ძალადობის, განსაკუთრებით ოჯახური ძალადობის გარეშე ქალთა სიცოცხლის უფლების	DRF31	განმახორციელებელი პარტნიორი: სახელმწიფო ფონდი	საქმიანობა 2.2.3. ერთი დამატებითი თავშესაფრის შექმნა სახელმწიფო ფონდის მიერ ოჯახური ძალადობის მსხვერპლთათვის და ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა/გადარჩენილთა ერთიანი ელექტრონული მონაცემთა ბაზის შექმნა თავშესაფრის სამსახურების გამოყენებით:		144,700	114,300	27,000	286,000
			2.2.3.1. სახელმწიფო ფონდის მხარდაჭერა თავშესაფრის შენობის რეკონსტრუქციისა და აღჭურვის განხორციელებაში და პერსონალის აყვანა ახლად შექმნილი თავშესაფრისათვის		123,100	95,100	7,800	226,000
			საკონტრაქტო მომსახურების გამწევი კომპანიები	72100	123,100	95,100	7,800	
			2.2.3.2. სახელმწიფო ფონდის დახმარება თავშესაფრისა და ცხელი ხაზის თანამშრომელთა მუდმივი გადამზადების უზრუნველყოფაში		5,000	5,000	7,000	17,000
			საკონტრაქტო მომსახურების გამწევი კომპანიები	72100	5,000	5,000	7,000	
			2.2.3.3. სახელმწიფო ფონდის დახმარება ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა/გადარჩენილთა		10,000	2,000		12,000

ხელშეწყობა და დაცვა			მონაცემთა ბაზისათვის პროგრამის შესაქმნელად და სხვა ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრების მმართველი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ აღნიშნული მონაცემთა ბაზით სარგებლობის უზრუნველყოფა					
			საკონტრაქტო მომსახურეობის გამწვევი კომპანიები	72100	10,000	2,000		
			2.2.3.4. სახელმწიფო ფონდის მხარდაჭერა ფონდის მიერ შეთავაზებული მომსახურეობის პოპულარიზაციისათვის საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება		6,600	12,200	12,200	31,000
			საკონტრაქტო მომსახურეობის გამწვევი კომპანიები	72100	6,600	12,200	12,200	

თიანეთი

სსიპ



მე, ნოტარიუსს ქეთევან ძლიერიშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, მიცკევიჩის ქუჩა №6,
მ (ო) მ მ ა რ თ ა

მოქალაქე ნინო გეჯაძემ, მცხ. თბილისი, მ. ალექსიძის 1, კორპ. 6, ბინა 22. მან მოხოვა ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ნინო გეჯაძემ მომართა, რომლის პირადი №01001006478, პ/მ №6 1354452, გაც. თბილისის საბურთალოს სრს-ს მიერ 25.12.2009წ. მე შევამოწმე მისი ქმელუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმელუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში, შემდეგ ნინო გეჯაძემ ჩემი თანდასწრებით პირადად შეასრულა თავისი ხელმოწერა თარგმანზე ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე რასაც ვამოწმებ.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური: ორი (2) ლარი თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდებიანების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31-ე მუხლისა, აგრეთვე დღე ოცდათექვსმეტი (36) თეთრი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, პლიუს: 2.00 (ორი) ლარი (დღგ-ს ჩათვლით) სანოტარო მოქმედების ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, თანახმად ზემოთაღნიშნული მოქმედების დადგენილებისა 39-ე მუხლისა

ნოტარიუსი



მ. ძლიერიშვილი

სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის ნომერი

N120723397



სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის თარიღი

10.07.2012 წ

სანოტარო მოქმედების
დასახელება

დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული
მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება

ნოტარიუსი

ქეთევან ძლიერიშვილი

სანოტარო ბიუროს
მისამართი

ქალაქი თბილისი, მიცკევიჩის ქუჩა 6

სანოტარო ბიუროს
ტელეფონი

2380435

სანოტარო მოქმედების
ინდივიდუალური ნომერი

60988221144312



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის
და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის
ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19
18